ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ფაკულტეტის საბჭოს 2025 წლის 23 იანვრის სხდომის

ოქმი #1

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2025 წლის 23 იანვარს შედგა თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომა.

სხდომა გახსნა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა პეტრე ბაბილუამ.

ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაშია 35 წევრი, სხდომას ესწრებოდა 19 წევრი. სხდომას ასევე ესწრებოდნენ ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი ვ. ტრაპაიძე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი თ. ჭელიძე, სამსახურის უფროსი სპეციალისტი გ. ბრეგვაძე და გეოლოგიის დეპარტამენტის უფროსი გ. ქუთელია.

კვორუმი შედგა, სხდომა გახსნილად გამოცხადდა.

დღის წესრიგი:

1. ფაკულტეტის საბჭოს არჩევნების გამოცხადება;
2. ფაკულტეტის დებულებაში შესატანი ცვლილებების შესახებ;
3. დეკანის ანგარიში;
4. მაგისტრატურის ანკეტა-კითხვარის განხილვა;
5. პროგრამული ცვლილებების შესახებ;
6. ეკოლოგიის პროგრამების კლასტერული აკრედიტაციისათვის თვითშეფასების ჯგუფის დამტკიცება;
7. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ანგარიში;
8. ერთობლივი ხელმძღვანელობის (კოტუტელის) შეთანხმების შესახებ (თინათინ ცისკარიძისთვის);
9. მიმდინარე საკითხები.

1. **მოისმინეს:** ინფორმაცია დღის წესრიგის პირველი საკითხის - ფაკულტეტის საბჭოს არჩევნების გამოცხადება. საკითხის შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა პ. ბაბილუამ. ბატონმა პეტრემ ისაუბრა ფაკულტეტის საბჭოს არჩევნებთან დაკავშირებული წესებისა და პროცედურების შესახებ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე საკითხი ფაკულტეტის საბჭოს არჩევნებთან დაკავშირებით.

კენჭისყრის შედეგები: მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: ფაკულტეტის საბჭოს არჩევნები ჩატარდეს 2025 წლის 7 თებერვალს; ფაკულტეტის საბჭოში წევრთა კვოტები დეპარტამენტების მიხედვით და არჩევნებთან

დაკავშირებული სხვა პროცედურები განისაზღვროს დანართის შესაბამისად (იხ. დანართი 1).

2. **მოისმინეს:** ინფორმაცია დღის წესრიგის მეორე საკითხის - ფაკულტეტის დებულებაში შესატანი ცვლილებების შესახებ. საკითხის შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა პ. ბაბილუამ. მან ფაკულტეტის საბჭოს გააცნო ფაკულტეტის დებულების 30-ე მუხლის მე-9 პუნქტში შესატანი ცვლილებების შესახებ.

აზრი გამოთქვეს: პროფესორებმა ნ. შათაშვილმა, ლ. მაჭავარიანმა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება.

კენჭისყრის შედეგები: მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: დამტკიცდეს ცვლილება ფაკულტეტის დებულებაში დანართის შესაბამისად (იხ. დანართი 2).

3. **მოისმინეს:** დღის წესრიგის მესამე საკითხი - დეკანის ანგარიში. საკითხის შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა პ. ბაბილუამ. მან საბჭოს წევრებს წარუდგინა ანგარიში ფაკულტეტის სამეცნიერო მიღწევების შესახებ ბოლო სამი წლის ჭრილში.

აზრი გამოთქვეს: პროფესორებმა ნ. შათაშვილმა, ო. ფურთუხიამ, გ. ღვედაშვილმა.

დაადგინეს: დეკანის მიერ წარმოდგენილი ანგარიში ფაკულტეტის სამეცნიერო საქმიანობის შესახებ მიღებულია ცნობად (იხ. დანართი 3).

4. **მოისმინეს:** დღის წესრიგის მეოთხე საკითხი - მაგისტრატურის ანკეტა-კითხვარი შესახებ. საკითხის შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ასოცირებულმა პროფესორმა თ. ჭელიძემ. მან სათითაოდ გაიარა სამაგისტრო პროგრამები და დააზუსტა კვოტები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება მაგისტრატურის ანკეტა-კითხვარის დამტკიცების შესახებ (იხ. დანართი 4).

კენჭისყრის შედეგები: მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: დამტკიცდეს მაგისტრატურის ანკეტა-კითხვარი წარმოდგენილი ფორმით (იხ. დანართი 4).

5. **მოისმინეს:** დღის წესრიგის მეხუთე საკითხი - პროგრამული ცვლილებების შესახებ. საკითხის შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ასოცირებულმა პროფესორმა თ. ჭელიძემ.

ცვლილებები შეეხო სამაგისტრო პროგრამებს „მათემატიკა“, „გამოყენებითი მათემატიკა“, „გეოლოგია“, „ინფორმაციული სისტემები“, „ინფორმაციული ტექნოლოგიები“, „ფუნდამენტური ფიზიკა“, „გამოყენებითი ფიზიკა“, „ბიოფიზიკა“, „ელექტრული და ელექტრონული ინჟინერია“, „ქიმია“, „ქიმიური ექსპერტიზა“,

„ბიოლოგია“, „გამოყენებითი ბიომეცნიერებები და ბიოტექნოლოგია“, „ფიზიკური გეოგრაფია და გარემოს მდგრადი განვითარება“, „გეომორფოლოგია, კარტოგრაფია და ლანდშაფტური დაგეგმარება“, „წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვა“. ცვლილებების საფუძველია ტერმინის დაზუსტება, ასევე პროგრამის განვითარება, შრომის ბაზრის მოთხოვნებიდან გამომდინარე.

ცვლილებები ასევე შეეხო საბაკალავრო პროგრამებს „მათემატიკა“, „ბიოლოგია“, „გამოყენებითი ბიო-მეცნიერებები და ბიოტექნოლოგია“, „ქიმია“ (ინგლისურენოვანი) და „გეოგრაფია“. ცვლილებების საფუძველია პროგრამების გაუმჯობესება და განვითარება (იხ. დანართი 5).

აზრი გამოთქვეს: პროფესორებმა ნ. შათაშვილმა, ნ. კოტრიკაძემ, დ. ძიძიგურმა, პ. ბაბილუამ, ო. ფურთუხიამ, ა. გამყრელიძემ, გ. ღვედაშვილმა, ლ. მაჭავარიანმა, ი. ხუციშვილმა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი წარმოდგენილი პროგრამული ცვლილებების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები: დამტკიცებულია ერთხმად.

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი ცვლილებები სამაგისტრო პროგრამებში (იხ. დანართი 5).

6. **მოისმინეს:** დღის წესრიგის მეექვსე საკითხი - ეკოლოგიის პროგრამების კლასტერული აკრედიტაციისათვის თვითშეფასების ჯგუფის დამტკიცება. საკითხის შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ასოცირებულმა პროფესორმა თ. ჭელიძემ. ქალბატონმა თამარმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ეკოლოგიის საბაკალავრო და გამოყენებითი ეკოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების თვითშეფასების ჯგუფი კლასტერული აკრედიტაციისათვის (იხ. დანართი 6).

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება ეკოლოგიის საბაკალავრო და გამოყენებითი ეკოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების თვითშეფასების ჯგუფის (იხ. დანართი 6) დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები: მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: დამტკიცდეს ეკოლოგიის საბაკალავრო და გამოყენებითი ეკოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების თვითშეფასების ჯგუფი კლასტერული აკრედიტაციისათვის (იხ. დანართი 6).

7. **მოისმინეს:** დღის წესრიგის მეშვიდე საკითხი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ანგარიში. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ 2024 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ასოცირებულმა პროფესორმა თ. ჭელიძემ.

აზრი გამოთქვეს: პროფესორებმა ნ. შათაშვილმა, პ. ბაბილუამ.

დაადგინეს: ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მიერ წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნას ცნობად (იხ. დანართი 7).

8. მოისმინეს: დღის წესრიგის მერვე საკითხი - ერთობლივი ხელმძღვანელობის (კოტუტელის) შეთანხმების შესახებ (თინათინ ცისკარიძისთვის). საკითხის შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ასოცირებულმა პროფესორმა თ. ჭელიძემ. შემდეგ კი სიტყვა გადასცა პროფესორ ნ. შათაშვილს. მან აღნიშნა, რომ ფიზიკის დეპარტამენტის დოქტორანტი თინათინ ცისკარიძე გახლავთ სადოქტორო პროგრამის „ფიზიკა", მოდული 1.1 „თეორიული ფიზიკა", მესამე სემესტრის სტუდენტი (სამეცნიერო ხელმძღვანელი ასოც. პროფ. მერაბ გოგბერაშვილი, სამეცნიერო თემა „ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკის კოსმოლიგიური ასპექტები"). მის ერთობლივ ხელმძღვანელობაზე თანხმობა გამოთქვა იტალიის ლ'აკვილას უნივერსიტეტის პროფესორმა ზურაბ ბერეჟიანმა და აღნიშნული უნივერსიტეტის „ფიზიკისა და ქიმიის დეპარტამენტის" საბჭომ 2024 წლის დეკემბერში დაამტკიცა პროფ. ზურაბ ბერეჟიანი თინათინ ცისკარიძის სამეცნიერო ხელმძღვანელად. ამრიგად, თინათინი უკვე ირიცხება მათ სადოქტორო პროგრამაზე, როგორც ერთობლივი ხელმძღვანელების სწავლების სტუდენტი. ჩვენი მხრივ, საჭიროა ფაკულტეტის საბჭომ მხარი დაუჭიროს სადოქტორო პროგრამის „ფიზიკა" დოქტორანტს თინათინ ცისკარიძეს, დაიდოს შეთანხმება/ხელშეკრულება თსუ-სა და ლაკვილას უნივერსიტეტს შორის მის ერთობლივ ხელმძღვანელობაზე (იტალიის მხრიდან პროფ. ზ. ბერეჟიანი, თსუ-ს მხრიდან ასოც. პროფ. მ. გოგბერაშვილი) და დაიწყოს ერთობლივი ხელმძღვანელობის შეთანხმების (Cotutelle) გაფორმების შესაბამისი პროცედურები. თინათინ ცისკარიძე ყოველთვის წარმატებული სტუდენტი გახლდათ, მან წარჩინებით დაამთავრა თსუ-ს „ფიზიკის" საბაკალავრო პროგრამა, შემდეგ უტრეხტის უნივერსიტეტის (ნიდერლანდების სამეფო) ფიზიკის სამაგისტრო პროგრამა და ახლა წარმატებით აგრძელებს სწავლას თსუ-ში დოქტორანტურაში იხ. დანართები 7).

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი კოტუტელის შეთანხმების შესახებ (თინათინ ცისკარიძისთვის).

კენჭისყრის შედეგები: წარმოდგენილი კოტუტელის შეთანხმება (თინათინ ცისკარიძისთვის) დამტკიცებულია ერთხმად (იხ. დანართი 7).

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი კოტუტელის შეთანხმება (თინათინ ცისკარიძისთვის) (იხ. დანართები 7).

9. მოისმინეს: დღის წესრიგის მეცხრე, მიმდინარე საკითხი - დოქტორანტების თემების შესახებ. საკითხი ქიმიის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტების ხელმძღვანელებისა და სადოქტორო თემების დაზუსტებისა და დამტკიცების შესახებ გამოიტანა ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ, ასოცირებულმა პროფესორმა ვაჟა ტრაპაიძემ (საფუძველი - ქიმიის მუდმივმოქმედი სადისერტაციო კომისიის თავმჯდომარის შუამდგომლობა, დანართი 8).

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი ქიმიის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტების ხელმძღვანელებისა და სადისერტაციო თემების დაზუსტებისა და დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები: დამტკიცებულია ერთხმად.

დაადგინეს: დამტკიცდეს ქიმიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შემდეგი დოქტორანტების სადისერტაციო თემები და სამეცნიერო ხელმძღვანელები:

დადიანიძე ალექსანდრე - სამეცნიერო ხელმძღვანელი, პროფესორი ბ.ჭანკვეტაძე; სადისერტაციო თემის სათაურია: "ენანტიოსელექტიური მაღალეფექტური სითხური ქრომატოგრაფიის გამოყენება აგროქიმიური და ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების ანალიზში";

დოლიძე გიზო - სამეცნიერო ხელმძღვანელი, პროფესორი ბ.ჭანკვეტაძე; სადისერტაციო თემის სათაურია: N-ეთილ-ჰექსედრონის და მისი ფაზა-1 მეტაბოლიტების ენანტიოსელექტიური ანალიზი მას-სპექტომეტრთან შეუღლებული მეთოდებით.

მუსერიძე ქეთევან - სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი ბ.ჭანკვეტაძე; სადისერტაციო თემის სათაურია: „ფუძე ბუნების ზოგიერთი ქირალური ნივთიერების არაკოვალენტური ურთიერთმოქმედების შესწავლა ციკლოდექსტრინებთან კაპილარული ელექტროფორეზის, ბირთვულ-მაგნიტური რეზონანსის და მოლეკულური მოდელირების მეთოდების გამოყენებით";

ცინცაძე რუსუდან სამეცნიერო ხელმძღვანელები: პროფესორი ბ.ჭანკვეტაძე; ასისტენტ პროფესორი ნინო თაყაიშვილი; სადისერტაციო თემის სათაურია: "მდინარე ყვირილას მიმდებარე ტერიტორიების მანგანუმით დაბინძურების შესწავლა და შესაძლო ფიტორემედიაცია";

ხუნდაძე ნანა - სამეცნიერო ხელმძღვანელები: პროფესორი ბ.ჭანკვეტაძე და იულია გენში (იულიხის კვლევითი ცენტრი, გერმანია). სადისერტაციო თემის სათაურია: „ნახშირბადის სტაბილური იზოტოპების თანაფარდობის შესწავლა ბიომასის წვის პროდუქტებში";

ჯანხოთელი თამარ - სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი ბ.ჭანკვეტაძე; სადისერტაციო თემის სათაურია: „ტყვიის შემცველობის ბიომონიტორინგი ინდუქციურად შეწყვილებული პლაზმის მასსპექტრომეტრის გამოყენებით";

ჯაშიაშვილი ქეთევან - სამეცნიერო ხელმძღვანელები: პროფესორი ბ.ჭანკვეტაძე; ასოცირებული პროფესორი მალხაზ ჯოხაძე. სადისერტაციო თემის სათაურია: "ზოგიერთი ახალი ქირალური ფსიქოაქტიური ნივთიერების ენანტიოსელექტიური ანალიზის მეთოდის დამუშავება სითხური ქრომატოგრაფია-მას სპექტრომეტრიის გამოყენებით".

ჭელიძე ალუდა - სამეცნიერო ხელმძღვანელი პროფესორი ბ.ჭანკვეტაძე; სადისერტაციო თემის სათაურია: "N-ეთილ-პენტედრონის და მისი ფაზა-1 მეტაბოლიტების ენანტიოსელექტიური ანალიზი მას-სპექტომეტრთან შეუღლებული მეთოდებით".

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე,
ასოცირებული პროფესორი პეტრე ბაბილუა

ფაკულტეტის საბჭოს მდივანი,
ასოცირებული პროფესორი თინათინ დავითაშვილი